

კონვენცია ბავშვთა ღაცვისა და ქვეყანათშორისი შვილად აყვანის ღარბში თანამშრომლობის შესახებ

(დადებული 1993 წლის 29 მაისს)
(ძალაში შესული 1995 წლის 1 მაისს)

მოცემული კონვენციის ხელმძღვერი სახელმწიფოები.

აღიარებენ რა, რომ ბავშვი, მისი პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისთვის, უნდა იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში, ბედნიერების, სიყვარულისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში.

ასხვით რა, რომ თითოეულმა სახელმწიფომ პრიორიტეტად უნდა დაისახოს იმგვარი სათანადო ზომების მიღება, რომლებიც შესაძლებლობას მისცემს ბავშვს, დარჩეს თავისი წარმოშობის ოჯახის მზრუნველობის ქვეშ.

აღიარებენ რა, რომ ქვეყანათშორის შვილად აყვანას შეუძლია მუდმივი ოჯახის ყოლის უპირატესობით სარგებლობის საშუალება მისცეს ბავშვს, რომლისთვისაც შეუძლებელია შესაფერისი ოჯახის პოვნა მის წარმოშობის სახელმწიფოში.

დარწმუნებულნი არიან რა აუცილებლობაში, მიღებულ იქნეს ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ქვეყანათშორისი შვილად აყვანები მოხდეს ბავშვის ინტერესების გათვალისწინებითა და მისი ძირითადი უფლებების პატივისცემით, და ბავშვების მოტაცების, გაყიდვის ან ტრეფიკინგის თავიდან ასაცილებლად.

მოწადინებულნი არიან რა შეიმუშაონ ამ მიზნით საერთო დებულებები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება პრინციპები, ჩამოყალიბებული საერთაშორისო დოკუმენტებში, კერძოდ „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1989 წლის 20 ნოემბრის კონვენციაში ბავშვის უფლებათა შესახებ“ და „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაციაში ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის სოციალური და სამართლებრივი პრინციპების შესახებ, ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბით გაშვილების საკითხის განსაკუთრებულად აღნიშვნით“ (გენერალური ასამბლეის 1986 წლის 3 დეკემბრის რეზოლუცია 41/85).

შეთანხმდნენ შემდეგ დებულებებზე -

თავი I – კონვენციის მოქმედების სფერო

მუხლი 1

მოცემული კონვენციის მიზნებია -

a) შემუშავდეს გარანტიები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ქვეყანათშორისი შვილად აყვანები მოხდეს ბავშვის ინტერესების გათვალისწინებითა და მისი ძირითადი უფლებების პატივისცემით, რომლებიც აღიარებულია საერთაშორისო სამართლის მიერ;

ბ) შეიქმნას ხელშეკრულების დამდებ სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის სისტემა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ამ გარანტიებს პატივსა სცემენ და ამით თავიდან იქნეს აცილებული ბავშვების მოტაცება. გაყიდვა ან ტრეფიკინგი;

ც) გარანტირებულ იქნეს მოცემული კონვენციის თანახმად განხორციელებული შვილად აყვანების აღიარება ხელშეკრულების დამდებ სახელმწიფოებში.

მუხლი 2

(1) მოცემული კონვენცია გამოიყენება, როდესაც ბავშვი, ჩვეულებრივ მცხოვრები ხელშეკრულების დამდებ ერთ-ერთ სახელმწიფოში („წარმოშობის სახელმწიფოში“), გადაყვანილია, გადაჰყავთ, ან უნდა გადაიყვანონ ხელშეკრულების დამდებ მეორე სახელმწიფოში („მიმღებ სახელმწიფოში“) ან მისი შვილად აყვანის შემდეგ ჩვეულებრივ წარმოშობის სახელმწიფოში მცხოვრები მეუღლეების ან პირის მიერ, ანდა ამგვარი შვილად აყვანის მიზნით მიმღებ სახელმწიფოში ან წარმოშობის სახელმწიფოში.

(2) მოცემული კონვენცია მოიცავს მხოლოდ იმგვარი შვილად აყვანის შემთხვევებს, რომელიც ქმნის მუდმივ ნათესაურ ურთიერთკავშირს მშობელსა და ბავშვს შორის.

მუხლი 3

მოცემული კონვენციის გამოყენება წყდება, თუკი მე-17 მუხლის c ქვეპუნქტში მოხსენიებული თანხმობანი მოცემული არ იქნება ბავშვის მიერ თვრამეტი წლის ასაკის მიღწევამდე.

თავი II – ქვეყანათშორისი შვილად აყვანისათვის საჭირო მოთხოვნები

მუხლი 4

მოცემული კონვენციის მოქმედების ფარგლებში შვილად აყვანას აღიდი შეიძლება ექნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი წარმოშობის სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოები –

ა) დაადგინენ, რომ ბავშვი შვილად აყვანას ექვემდებარება;

ბ) გაარკვევენ, მას შემდეგ რაც ბავშვის წარმოშობის ქვეყნის ფარგლებშივე დაბინავების შესაძლებლობები ჯეროვნად იქნება განხილული, რომ ქვეყანათშორისი შვილად აყვანა ყველაზე უკეთ პასუხობს ბავშვის ინტერესებს;

ც) დარწმუნდებიან, რომ

(1) პირებს, დაწესებულებებსა და ორგანოებს, ვისი თანხმობაც აუცილებელია შვილად აყვანისათვის, აუცილებელი რჩევი აქვთ მოცემული, და ისინი სათანადოდ არიან ინფორმირებულნი მათი თანხმობის შედეგების თაობაზე, განსაკუთრებით კი

იმის შესახებ, გამოიწვევს თუ არა შვილად აყვანა კანონით აღიარებული ნათესაობის შეწყვეტას ბავშვისა და მის წარმოშობის ოჯახს შორის.

(2) ამგვარ პირებს, დაწესებულებებსა და ორგანოებს თანხმობა მიცემული აქვთ საკუთარი ნებით, აუცილებელი სამართლებრივი ფორმით, და გამოსატყუელი ან დადასტურებული აქვთ იგი წერილობით.

(3) თანხმობა გამოწვეული არ არის რაიმე სახის გადახდით ან ანაზღაურებით, და იგი არა ყოფილა გაუქმებული, და

(4) დედის თანხმობა, როდესაც ის აუცილებელია, მიცემულ იქნა მხოლოდ ბავშვის დაბადების შემდეგ; და

d) დარწმუნდებიან, ბავშვის ასაკისა და სრულწლოვანების ხარისხის გათვალისწინებით, რომ

(1) მას აუცილებელი რჩევები აქვს მიცემული და სათანადოდ არის ინფორმირებული იმის თაობაზე, თუ რა შედეგები ექნება შვილად აყვანას და შვილად აყვანაზე მის თანხმობას, როდესაც ამგვარი თანხმობა აუცილებელია.

(2) მხედველობაში იყო მიღებული ბავშვის სურვილები და მოსაზრებები.

(3) ბავშვის თანხმობა შვილად აყვანაზე, როდესაც ამგვარი თანხმობა აუცილებელია, მიცემული იყო საკუთარი ნებით, აუცილებელი სამართლებრივი ფორმით, და გამოსატყუელი ან დადასტურებული იყო წერილობით, და

(4) ამგვარი თანხმობა გამოწვეული არა ყოფილა რაიმე სახის გადახდით ან ანაზღაურებით.

მუხლი 5

მოცემული კონვენციის მოქმედების ფარგლებში შვილად აყვანას აღვილი შეიძლება ექნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მიმღები სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოები –

a) დარწმუნდებიან, რომ პერსპექტიული მშვილვებელი მშობლები მისაღებნი და შესაფერისნი არიან ბავშვის საშვილვებლად;

b) დარწმუნდებიან, რომ პერსპექტიულ მშვილვებელ მშობლებს აუცილებელი რჩევები აქვთ მიცემული, და ისინი სათანადოდ არიან ინფორმირებულნი; და

c) დაადგენენ, რომ ბავშვს უფლება აქვს ან უფლება მიეცემა, შევიდეს და მუდმივად იცხოვროს ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

თაპი III – ცენტრალური ორბანოები და აკრედიტებული ორბანიზაციები

მუხლი 6

(1) ხელშეკრულების დამდები სახელმწიფო დანიშნავს ცენტრალურ ორბანოს იმ მოვალეობათა აღსასრულებლად, რომელთაც მოცემული კონვენცია ამგვარ ორბანოებს აკისრებს.

(2) ფედერალურ სახელმწიფოებს, ერთზე მეტი სამართლებრივი სისტემის მქონე სახელმწიფოებს და ავტონომიური ტერიტორიული ერთეულების მქონე სახელმწიფოებს შეეძლიათ დანიშნონ ერთზე მეტი ცენტრალური ორბანო და განსაზღვრონ მათი ფუნქციების ტერიტორიული ან პერსონალური ფარგლები. როდესაც სახელმწიფო ერთზე მეტ ცენტრალურ ორბანოს დანიშნავს, მან უნდა დანიშნოს ის ცენტრალური ორბანო, რომელსაც შეიძლება გაეგზავნოს ნებისმიერი სახის შეტყობინება სათანადო ცენტრალური ორბანოსათვის გადასაცემად ამ სახელმწიფოს ფარგლებში.

მუხლი 7

(1) ცენტრალური ორბანოები ერთმანეთთან ითანამშრომლებენ და ხელს შეუწყობენ თანამშრომლობას მათი სახელმწიფოების კომპეტენტურ ორბანოთა შორის ბავშვთა დასაცავად და მოცემული კონვენციის სხვა მიზნების მისაღწევად.

(2) ისინი უშუალოდ მიიღებენ ყველა სათანადო ზომას, რათა –

a) მიაწოდონ ინფორმაცია მათი სახელმწიფოების შვილად აყვანასთან დაკავშირებული კანონების შესახებ და სხვა ზოგადი სასიათის ინფორმაცია, როგორცაა სტატისტიკური მონაცემები და ტიპობრივი ფორმები;

b) ინფორმირებული კვადავთ ერთმანეთი მოცემული კონვენციის მოქმედების შესახებ და, შესაძლებლობისდა მიხედვით, აღმოფხვრან ნებისმიერი დაბრკოლებები, რომლებიც მის გამოყენებას უშლის ხელს.

მუხლი 8

ცენტრალური ორბანოები, უშუალოდ ან სახელმწიფო ხელისუფლების ორბანოთა მეშვეობით, მიიღებენ ყველა სათანადო ზომას შვილად აყვანასთან დაკავშირებული ნებისმიერი არამართებული ფინანსური ან სხვა სახის მოცუბის მიღების თავიდან ასაცილებლად და ყველა იმგვარი პრაქტიკის აღსაკვეთად, რომელიც მოცემული კონვენციის მიზნებს ეწინააღმდეგება.

მუხლი 9

ცენტრალური ორბანოები, უშუალოდ ან სახელმწიფო ხელისუფლების ორბანოთა, ან მათს სახელმწიფოებში სათანადოდ აკრედიტებული სხვა ორბანიზაციების მეშვეობით, მიიღებენ ყველა სათანადო ზომას კერძოდ იმისათვის, რათა

ა) შეაგროვონ, შეინახონ და გაცვალონ ინფორმაცია ბავშვთან და პერსპექტიულ მშვიდებელ მშობლებთან დაკავშირებით არსებული სიტუაციის შესახებ იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია შვილად აყვანის განსახორციელებლად;

ბ) გააიოლონ, აკონტროლონ და დაანქარონ პროცედურები, რომელთა მიზანიც შვილად აყვანის განხორციელებაა;

ც) ხელი შეუწიონ შვილად აყვანასთან დაკავშირებული კონსულტირებისა და შვილად აყვანის შემდგომი მომსახურებების განვითარებას თავიანთ სახელმწიფოებში;

დ) მიაწოდონ ურთიერთს ზოგადი შეფასების ანგარიშები ქვეყანათშორისი შვილად აყვანის შესახებ;

ე) უპასუხონ, რამდენადაც ეს ნებადართულია მათი სახელმწიფოს კანონით, სხვა ცენტრალური ორგანოებისგან ან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისგან მიღებულ მართლზომიერ მოთხოვნებს კონკრეტული შვილად აყვანის გარშემო არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის თაობაზე.

მუხლი 10

აკრედიტაცია მიეცემა და შეუნარჩუნდება მხოლოდ ისეთ ორგანიზაციებს, რომლებიც აშკარად აჩვენებენ საკუთარ უნარს, აეროვნად გაართვიან თავი ამოცანებს, რომლებიც მათ შეიძლება დაეკისროთ.

მუხლი 11

აკრედიტებული ორგანიზაცია –

ა) ეცდება მარტოაღიარებული არაკომერციული მიზნების მიღწევას ისეთი პირობების თანახმად და ისეთ ფარგლებში, რომლებიც დადგენილი შეიძლება იქნეს აკრედიტაციის მიმცემი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიერ;

ბ) მართული და დაკომპლექტებული იქნება პირებით, რომლებიც საკუთარი ეთიკური სტანდარტებისა და მომხადების ან გამოცდილების მიხედვით შესაფერისნი იქნებიან ქვეყანათშორისი შვილად აყვანის დარგში სამუშაოდ; და

ც) დაექვემდებარება ამ სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მეთვალყურეობას მის შემადგენლობასთან, მუშაობასთან და ფინანსურ მდგომარეობასთან მიმართებაში.

მუხლი 12

ხელშეკრულების დამდებ ერთ-ერთ სახელმწიფოში აკრედიტებულ ორგანიზაციას მხოლოდ მაშინ შეუძლია მოღვაწეობა ხელშეკრულების დამდებ მეორე სახელმწიფოში, თუ მას ამის უფლებას ამ ორივე სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოები მისცემენ.

მუხლი 13

ცენტრალური ორგანოების დანიშვნა და, სადაც ეს მიზანშეწონილია, მათი ფუნქციების ფარგლები, ისევე როგორც აკრედიტებული ორგანიზაციების სახელწოდებები და მისამართები, ხელშეკრულების დამდები თითოეული სახელმწიფოს მიერ უნდა ეცნობოს საერთაშორისო კერძო სამართლის კაავის კონფერენციის მუდმივ ბიუროს.

თავი IV – საპროცედურო მოთხოვნები ქვეყანათშორისი შვილად აყვანისას

მუხლი 14

ხელშეკრულების დამდებ სახელმწიფოში ხვეულებრივ მცხოვრებმა პირებმა, რომელთაც სურთ იშვილან ხელშეკრულების დამდებ მეორე სახელმწიფოში ხვეულებრივ მცხოვრები ბავშვი, განცხადებით უნდა მიმართონ იმ სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოს, რომელშიც ისინი ხვეულებრივ ცხოვრობენ.

მუხლი 15

(1) თუ მიმდები სახელმწიფოს ცენტრალური ორგანო დარწმუნდება, რომ განმცხადებლები მისაღებნი და შესაფერისნი არიან ბავშვის საშვილებლად, იგი მოამზადებს ანგარიშს, შემცველს ინფორმაციისა, რომელიც შეეხება მათს ვინაობას, ბავშვის შვილად ახაყვანად მათს მისაღებობასა და შესაფერისობას, წარმომავლობასა და მდგომარეობას, ოჯახურ და სამედიცინო ისტორიას, სოციალურ გარემოს, შვილად აყვანის მიზეზებს, ქვეყანათშორისი შვილად აყვანის განხორციელების უნარს, და აგრეთვე იმ ბავშვების მახასიათებლებს, ვისი მზრუნველობაში აყვანის უფლების მოპოვებაც მათ სურთ.

(2) იგი ანგარიშს გაუკუხავნის წარმომდების სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოს.

მუხლი 16

(1) თუ წარმომდების სახელმწიფოს ცენტრალური ორგანო დარწმუნდება, რომ ბავშვი შვილად აყვანას ექვემდებარება, იგი –

ა) მოამზადებს ანგარიშს, შემცველს ინფორმაციისა, რომელიც შეეხება მის ვინაობას, შვილად ახაყვანად მის შესაფერისობას, წარმომავლობასა და მდგომარეობას, სოციალურ გარემოს, ოჯახის ისტორიას, სამედიცინო ისტორიას, ბავშვის ოჯახის სამედიცინო ისტორიის ჩათვლით, და ბავშვის ნებისმიერ განსაკუთრებულ საჭიროებებს;

ბ) სათანადოდ გაითვალისწინებს ბავშვის აღზრდასა და მის ეთნიკურ, რელიგიურ და კულტურულ წარმომავლობას;

ც) დარწმუნდება, რომ თანხმობები მიღებულია მე-4 მუხლის თანახმად; და

d) გაარკვევს, კერძოდ ბავშვთან და პერსპექტიულ მშვიდებელ მშობლებთან დაკავშირებული ანგარიშების საფუძველზე, ყველაზე უკეთ პასუხობს თუ არა გათვალისწინებული დაბინავება ბავშვის ინტერესებს.

(2) იგი მიძღვბი სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოს გაეკუთვნის თავის ანგარიშს ბავშვის შესახებ, იმის დამამტკიცებელ საბუთს, რომ აღცილებელი თანხმობები მიღებულია, და მიუხეობს თავისი გადაწყვეტილებისა ბავშვის დაბინავების თაობაზე, იხრუნებს რა იმაზე, რომ არ გაამქდაუნოს დედისა და მამის ვინაობა, თუკი წარმოშობის სახელმწიფოში ამ ვინაობათა გამქდავენება არ შეიძლება.

მუხლი 17

ნებისმიერი გადაწყვეტილება წარმოშობის სახელმწიფოში იმის თაობაზე, რომ ბავშვი პერსპექტიულ მშვიდებელ მშობლებს უნდა ჩაბარდეს, შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი –

a) ამ სახელმწიფოს ცენტრალური ორგანო დარწმუნდება, რომ პერსპექტიული მშვიდებელი მშობლები თანახმანი არიან;

b) მიძღვბი სახელმწიფოს ცენტრალურმა ორგანომ დამტკიცა ამგვარი გადაწყვეტილება, როდესაც ამგვარ დამტკიცებას მითხრავს ამ სახელმწიფოს კანონი, ანდა წარმოშობის სახელმწიფოს ცენტრალური ორგანო;

c) ორივე სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოები დათანხმდებიან, რომ შეიღად აყვანის პროცესი შეიძლება გაგრძელდეს; და

d) დადგინდება, თანახმად მე-5 მუხლისა, რომ პერსპექტიული მშვიდებელი მშობლები მისაღებნი და შესაფერისნი არიან ბავშვის საშვილებლად, და რომ ბავშვს უფლება აქვს ან უფლება მიეცემა, შევიდეს და მუდმივად იცხოვროს მიძღვბი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

მუხლი 18

ორივე სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოები მიიღებენ ყველა აღცილებელ ზომას, რათა ბავშვისათვის მთიპოვონ ნებართვა, დარტოვის წარმოშობის სახელმწიფო და შევიდეს და მუდმივად იცხოვროს მიძღვბი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

მუხლი 19

(1) ბავშვის გადაყვანა მიძღვბი სახელმწიფოში შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დაკმაყოფილებულია მე-17 მუხლის მითხრუნები.

(2) ორივე სახელმწიფოს ცენტრალურმა ორგანოებმა უნდა უხრუნველყონ ამ გადაყვანის განხორციელება უსაფრთხო და შესაფერის ვითარებაში და, თუკი ეს შესაძლებელია, მშვიდებელი ან პერსპექტიული მშვიდებელი მშობლების საზოგადოებაში.

(3) თუ ბავშვის გადაყვანას ადგილი არ ექნა, მე-15 და მე-16 მუხლებში მოხსენიებული ანგარიშები უკანვე უნდა გადაეუზავნოთ მათ გამომგზავნელ ორგანოებს.

მუხლი 20

ცენტრალურ ორგანოებს ინფორმირებული უნდა ჰქავდეთ ერთმანეთი შვილად აყვანის პროცესისა და მის განსახორციელებლად მიღებულ ზომათა თაობაზე და აგრეთვე დაბინავების მიმდინარეობის თაობაზე, თუკი საჭიროა გამოსაცდელი პერიოდი.

მუხლი 21

(1) როდესაც შვილად აყვანა უნდა მოხდეს ბავშვის მიძღებ სახელმწიფოში გადაყვანის შემდეგ, ამ სახელმწიფოს ცენტრალური ორგანო კი მიიხსენებს, რომ პერსპექტიულ მშვიდებულ მშობლებთან დაბინავების გაგრძელება არ პასუხობს ბავშვის ინტერესებს. ამგვარი ცენტრალური ორგანო მიიღებს ბავშვის დასაცავად აუცილებელ ზომებს, კერძოდ -

ა) უზრუნველყოფს ბავშვის წამოყვანას პერსპექტიული მშვიდებელი მშობლებისგან და ორგანიზებას გაუკეთებს ბავშვზე დროებითი მზრუნველობის დაწესებას;

ბ) წარმოშობის სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოსთან კონსულტაციით, დაუყოვნებლივ გაუკეთებს ორგანიზებას ბავშვის ხელახალ დაბინავებას შვილად აყვანის მიზნით ან, თუკი ეს მიზანშეწონილი არ არის, ორგანიზებას გაუკეთებს ალტერნატიული გრძელვადიანი მზრუნველობის დაწესებას; შვილად აყვანა ვერ განხორციელდება მანამ, სანამ წარმოშობის სახელმწიფოს ცენტრალური ორგანო სათანადოდ არ იქნება ინფორმირებული ახალი პერსპექტიული მშვიდებელი მშობლების შესახებ.

ც) უკიდურეს შემთხვევაში, ორგანიზებას გაუკეთებს ბავშვის დაბრუნებას, თუკი ამას მისი ინტერესები მოითხოვს.

(2) განსაკუთრებით ბავშვის ასაკისა და სრულწლოვანების ხარისხის გათვალისწინებით, ბავშვს უნდა ჩაუტარდეს კონსულტაცია და, როდესაც ეს მიზანშეწონილია, მიღებული იქნეს მისი თანხმობა ამ მუხლის მიხედვით გასატარებელ ზომებთან მიმართებაში.

მუხლი 22

(1) ცენტრალური ორგანოს ამ თავით გათვალისწინებული ფუნქციები შეიძლება შესრულდეს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ, ან III თავის მიხედვით აკრედიტებული ორგანიზაციების მიერ იმ ზომა-ხარისხით, როგორც ნებადართულია მისი სახელმწიფოს კანონით.

(2) ხელშეკრულების დამდებ ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია განუცხადოს მოცემული კონვენციის დეპოზიტარს, რომ ცენტრალური ორგანოს ფუნქციები, გათვალისწინებული 15-21 მუხლებით, ამ სახელმწიფოში, კანონით ნებადართული

ზომა-ხარისხითა და ამ სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოთა ზედამხედველობის ქვეშ. შეეძლიათ შესარულონ აგრეთვე იმ ორგანიზაციებმა ან პირებმა, რომლებიც –

ა) აკმაყოფილებენ ამ სახელმწიფოს მოთხოვნებს, რომლებიც უკავშირდება პატიოსნებას, პროფესიულ კომპეტენციას, გამოცდილებასა და ანგარიშვალდებულებას; და

ბ) თავისი ეთიკური სტანდარტებისა და მომხადების ან გამოცდილების მიხედვით შესაფერისნი არიან ქვეყანათშორისი შვილად აყვანის დარგში სამუშაოდ.

(3) ხელშეკრულების დამდებმა სახელმწიფომ, რომელიც გააკეთებს მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას, საერთაშორისო კერძო სამართლის პაპის კონფერენციის მედშივ ბიუროს უნდა აღწიბოს ამ ორგანიზაციითა და პირთა სახელები სახელწოდებები და მისამართები.

(4) ხელშეკრულების დამდებ ნებისმიერ სახელმწიფოს შეეძლია განეცხადოს მოცემული კონფერენციის დეპოზიტარს, რომ ხეულებრივ მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ბავშვთა შვილად აყვანები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცენტრალური ორგანოების ფუნქციები 1-ლი პუნქტის თანახმად ხორციელდება.

(5) მე-2 პუნქტის თანახმად გაკეთებული ნებისმიერი განცხადების მიხედვად, მე-15 და მე-16 მუხლებით გათვალისწინებული ანგარიშები ნებისმიერ შემთხვევაში უნდა მომხადდეს ცენტრალური ორგანოს, ან სხვა ორგანოების ან ორგანიზაციების პასუხისმგებლობის ქვეშ, თანახმად 1-ლი პუნქტისა.

თაზო V – შვილად აყვანის აღიარება და შეღებები

მუხლი 23

(1) შვილად აყვანა, დამოწმებული შვილად აყვანის სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ როგორც მოცემული კონფერენციის თანახმად განხორციელდებული, აღიარებული უნდა იყოს კანონის მოქმედებით ხელშეკრულების დამდებ სხვა სახელმწიფოებში. მოწიბობაში აღნიშნული უნდა იყოს, როდის და ვის მიერ იქნა მოცემული მე-17 მუხლის *ა) ქვეპუნქტით* გათვალისწინებული თანხმობანი.

(2) ხელშეკრულების დამდები თითოეული სახელმწიფო ხელმოწერის, რაციფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების დროს აღნიბებს მოცემული კონფერენციის დეპოზიტარს იმ ორგანოს ან ორგანოების იდენტურობასა და ფუნქციებს, რომლებსაც დამოწმების კომპეტენცია აქვთ, იგი აგრეთვე აღნიბებს დეპოზიტარს ამ ორგანოთა დანიშვნის ნებისმიერი მოდიფიკაციების შესახებ.

მუხლი 24

შვილად აყვანის აღიარებაზე უარი ხელშეკრულების დამდებ სახელმწიფოში მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იქნეს ნათქვამი, თუკი შვილად აყვანა ამკარად ეწინააღმდეგება მის სახელმწიფო პოლიტიკას, ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით.

მუხლი 25

ხელშეკრულების დამდებ ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია განუცხადოს მოცემული კონვენციის დეპოზიტარს, რომ იგი მოცემული კონვენციის მიხედვით ვადლებული არ იქნება აღიაროს შეიღად აყვანები, განხორციელებულნი 39-ე მუხლის მე-2 პუნქტის გამოყენებით დადებული შეთანხმების თანახმად.

მუხლი 26

(1) შეიღად აყვანის აღიარება მოიცავს

a) კანონით აღიარებული მშობელ-შვილური ურთიერთკავშირის აღიარებას ბავშვსა და მის მშვილებელ მშობლებს შორის;

b) აღიარებას მშვილებელი მშობლების მშობლისეული პასუხისმგებლობისა ბავშვის გამო;

c) კანონით აღიარებული ადრეარსებული ნათესაობის შეწყვეტის აღიარებას ბავშვსა და მის დედას და მამას შორის. თუ შეიღად აყვანას ამგვარი შედეგი აქვს ხელშეკრულების დამდებ იმ სახელმწიფოში, სადაც იგი მოხდა.

(2) იმ შემთხვევაში, თუკი შეიღად აყვანას შედეგად მოაქვს კანონით აღიარებული ადრეარსებული მშობელ-შვილური ნათესაობის შეწყვეტა, ბავშვმა მიძღვს სახელმწიფოში და ხელშეკრულების დამდებ ნებისმიერ სხვა სახელმწიფოში, სადაც აღიარებულია შეიღად აყვანა, უნდა ისარგებლოს უფლებებით, რომლებიც ეკვივალენტურია უფლებებისა, რომლებიც წარმოადგება ამ შედეგის მქონე შეიღად აყვანებისაგან თითოეულ ამგვარ სახელმწიფოში.

(3) წინამოხვანი პუნქტები ხელს არ უშლის გამოყენებას ბავშვისათვის უფრო ხელსაყრელი რაიმე დებულებისა, რომელიც ძალაშია ხელშეკრულების დამდებ სახელმწიფოში, რომელიც შეიღად აყვანას აღიარებს.

მუხლი 27

(1) როდესაც წარმოშობის სახელმწიფოში ნებადართულ შეიღად აყვანას შედეგად არ მოაქვს კანონით აღიარებული ადრეარსებული მშობელ-შვილური ნათესაობის შეწყვეტა, იგი შეიძლება, მიძღვს სახელმწიფოში, რომელიც აღიარებს შეიღად აყვანას მოცემული კონვენციის მიხედვით, გარდაიქმნას ამგვარი შედეგის მქონე შეიღად აყვანად –

a) თუ მიძღვს სახელმწიფოს კანონი ამის უფლებას იძლევა; და

b) თუ მე-4 მუხლის *c* და *d* ქვეპუნქტებში მოხსენიებული თანხმობანი მოცემული იყო ან მოცემულია ამგვარი შეიღად აყვანის მიხედვით.

(2) 23-ე მუხლი გამოიყენება შეიღად აყვანის გარდაიქმნელი გადაწყვეტილების მიმართ.

თაპო VI – ზოგადი დებულებები

მუხლი 28

მოცემული კონვენცია ზემოქმედებას არ ახდენს წარმოშობის სახელმწიფოს რომელიმე კანონზე, რომელიც მოითხოვს, რომ ხვეულებრივ ამ სახელმწიფოს ფარგლებში მცხოვრები ბავშვის შვილად აყვანას ამ სახელმწიფოში უნდა მოხდეს, ანდა რომელიც შვილად აყვანამდე ბავშვის მიმღებ სახელმწიფოში დაბინავებას ან გადაყვანას კრძალავს.

მუხლი 29

ადგილი არ უნდა ექნეს რაიმე კონტაქტს პერსპექტიულ მშვიდებელ მშობლებსა და ბავშვის მშობლებს ან ნებისმიერ სხვა პირს შორის, რომელსაც ბავშვზე მხრუნველობა აკისრია, სანამ არ შესრულდება მე-4 მუხლის ა) – ც) ქვეპუნქტებისა და მე-5 მუხლის ა) ქვეპუნქტის მოთხოვნები, თუკი შვილად აყვანა ოჯახის ფარგლებში არ ხდება, ან თუკი კონტაქტი არ შეესაბამება წარმოშობის სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ დადგენილ პირობებს.

მუხლი 30

(1) ხელშეკრულების დამღები სახელმწიფოს კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ ბავშვის წარმოშობასთან დაკავშირებული, განსაკუთრებით მისი მშობლების ვინაობასთან, ისევე როგორც სამედიცინო ისტორიასთან, დაკავშირებული ინფორმაციის შენახვა.

(2) მათ უნდა უზრუნველყონ, რომ ბავშვს ან მის წარმომადგენელს, სათანადო ხელმძღვანელობის ქვეშ, შეეძლოს ამ ინფორმაციის გაცნობა, იმდენად რამდენადაც ეს ნებადართულია ამ სახელმწიფოს კანონით.

მუხლი 31

30-ე მუხლისთვის ზიანის მიუყენებლად, მოცემული კონვენციის ფარგლებში შეგროვებული ან გადაცემული პირადი მონაცემები, განსაკუთრებით მე-15 და მე-16 მუხლებში მოხსენიებული მონაცემები, გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ იმ მიზნებისთვის, რომლებსთვისაც ისინი შეგროვებული ან გადაცემულია.

მუხლი 32

(1) არავინ არ უნდა მიიღოს არამართებული ფინანსური ან სხვა სახის მოგება ქვეყნათშორის შვილად აყვანასთან დაკავშირებული ამა თუ იმ საქმიანობიდან.

(2) დასაშვებია მხოლოდ ხარჯებისა და დანახარჯების, შვილად აყვანის პროცესში მონაწილე პირთათვის განკუთვნილი ზომიერი პროფესიული კონორარების ჩათვლით, გადახდის მოთხოვნა ან გადახდა

(3) შვილად აყვანის პროცესში მონაწილე ორგანიზაციების დირექტორებმა, ადმინისტრატორებმა და მუშაკებმა არ უნდა მიიღონ გაუმართლებლად მადალი ანაზღაურება მათ მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ.

მუხლი 33

კომპეტენტური ორგანო, რომელიც აღმოაჩენს, რომ მოცემული კონვენციის ამს თუ იმ დებულებას უერთვანი პარტი არ ეკვა, ანდა არსებობს იმის სერიოზული საფრთხე, რომ მას შეიძლება პარტი არ ეკვა, დაუყოვნებლივ წააყენებს საქმის კურსში თავისი სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოს. ეს ცენტრალური ორგანო უხრუხეუდეს სათანადო ზომების მიღებას.

მუხლი 34

თუ დოკუმენტის ადრესატი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანო ამას მითხვებს, დოკუმენტს თან უნდა დაერთოს მისი თარგმანი, რომლის დედანთან შესატყვისობაც დამოწმებული უნდა იყოს. თუკი სხვაგვარად არ იქნა გათვალისწინებული, ამგვარი თარგმნის ხარჯები პერსპექტიულმა მშვიდებულმა მშობლებმა უნდა გასწიონ.

მუხლი 35

ხელშეკრულების დამდებ სახელმწიფოს კომპეტენტურმა ორგანოებმა შვილად აყვანის პროცესში სწრაფად და ეფექტიანად უნდა იმოქმედონ.

მუხლი 36

იმ სახელმწიფოსთან მიმართებაში, რომელსაც აქვს ორი ან მეტი სამართლებრივი სისტემა შვილად აყვანასთან დაკავშირებით, გამოყენებადი მის სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებში –

a) ამ სახელმწიფოში ჩვეულებრივ ცხოვრების ნებისმიერი მოხსენიება გაგებული უნდა იქნეს, როგორც ამ სახელმწიფოს ტერიტორიულ ერთეულში ჩვეულებრივ ცხოვრების მოხსენიება;

b) ამ სახელმწიფოში ძალაში მყოფი კანონმდებლობის ნებისმიერი მოხსენიება გაგებული უნდა იქნეს, როგორც შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში ძალაში მყოფი კანონმდებლობის მოხსენიება;

c) ამ სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების ან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ნებისმიერი მოხსენიება გაგებული უნდა იქნეს, როგორც მოხსენიება იმ მათგანისა, რომლებიც უფლებამოსილნი არიან იმოქმედონ შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში;

d) ამ სახელმწიფოში აკრედიტებული ორგანიზაციების ნებისმიერი მოხსენიება გაგებული უნდა იქნეს, როგორც შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში აკრედიტებული ორგანიზაციების მოხსენიება.

მუხლი 37

იმ სახელმწიფოსთან მიმართებაში, რომელსაც შვილად აყვანასთან დაკავშირებით აქვს ორი ან მეტი სამართლებრივი სისტემა, გამოყენებადი პირთა სხვადასხვა კარტეგორიების მიმართ, ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის ნებისმიერი მოხსენიება გაგებულად უნდა იქნეს, როგორც ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის მიერ განსაზღვრული სამართლებრივი სისტემის მოხსენიება.

მუხლი 38

სახელმწიფო, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებს აქვთ სხვადასხვა სამართლებრივი ნორმები შვილად აყვანასთან დაკავშირებით, ვადებულად არ არის გამოიყენოს მოცემული კონვენციის ისეთ შემთხვევებში, როდესაც ერთიანი სამართლებრივი სისტემის მქონე სახელმწიფოს ეს არ დაევალებოდა.

მუხლი 39

(1) მოცემული კონვენცია შემოქმედებას არ ახდენს რომელიმე საერთაშორისო დოკუმენტზე, რომლის მხარეებსაც წარმოადგენენ ხელშეკრულების დამდები სახელმწიფოები და რომელიც შეიცავს დებულებებს, დაკავშირებულს საკითხებთან, რომლებიც მოცემული კონვენციით რეგულირდება, თუკი სახელმწიფოები, რომლებიც ამგვარი დოკუმენტის მხარეებს წარმოადგენენ, საწინააღმდეგო შინაარსის განცხადებას არ გააკეთებენ.

(2) ხელშეკრულების დამდებ ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია დადოს შეთანხმებები ერთ ან მეტ ხელშეკრულების დამდებ სხვა სახელმწიფოსთან მათს ორმხრივ ურთიერთობებში მოცემული კონვენციის გამოყენების გაუმჯობესების მიზნით. ამ შეთანხმებებმა შეიძლება შეზღუდონ მხოლოდ 14-16 და 18-21 მუხლების დებულებათა მოქმედება. ამგვარი შეთანხმების დამდებმა სახელმწიფოებმა ასლი მოცემული კონვენციის დეპოზიტარს უნდა გადაუგზავნონ.

მუხლი 40

დაუშვებელია, ნებადართული იქნეს რაიმე დათქმა მოცემულ კონვენციასთან დაკავშირებით.

მუხლი 41

მოცემული კონვენცია გამოიყენება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც მე-14 მუხლის მიხედვით გაკეთებული განცხადება მიღებული იქნება მოცემული კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ მიმდებ სახელმწიფოში და წარმოშობის სახელმწიფოში.

მუხლი 42

საერთაშორისო კერძო სამართლის ჰააგის კონვენციის გენერალური მდივანი დროის რეგულარული შეაღებებით მთავრებს სპეციალურ კომისიას მოცემული კონვენციის პრაქტიკული მოქმედების მიმდინარეობის მიზნით.

თაზო VII – დანაკვეთილი მუხლები*მუხლი 43*

(1) მოცემული კონვენცია ხელმისაწვდომად ხელმისაწვდომი იქნება სახელმწიფოთათვის, რომლებიც საერთაშორისო კერძო სამართლის ჰააგის კონვენციის წევრები იყვნენ მისი შეხვიდმეტყველების დროს და სხვა სახელმწიფოთათვის, რომლებიც ამ სესიაში მონაწილეობდნენ.

(2) იგი უნდა იქნეს რატიფიცირებული, მიღებული ან დამტკიცებული, ხოლო დოკუმენტები რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების შესახებ უნდა გადაეცეს ნიდერლანდების სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომელიც არის მოცემული კონვენციის დეპოზიტარი.

მუხლი 44

(1) ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია შეუერთდეს მოცემულ კონვენციას მას შემდეგ, რაც იგი ძალაში შევა თანახმად 46-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა.

(2) დოკუმენტი შეერთების შესახებ უნდა გადაეცეს დეპოზიტარს.

(3) ამგვარი შეერთება იმოქმედებს მხოლოდ კონვენციასთან შეერთებული სახელმწიფოსა და ხელშეკრულების დამტკიცებულ იმ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომელიც სახელმწიფოებიც არ შექონააღმდეგებიან მის შეერთებას ექვსი თვის განმავლობაში 48-ე მუხლის *ბ*) ქვეპუნქტში მოხსენიებული შეტყობინების მიღებიდან. ამგვარი საწინააღმდეგო აზრი სახელმწიფოთა მიერ შეიძლება გამოითქვას მაშინაც, როდესაც ისინი მოცემულ კონვენციას რატიფიკაციას გაუკეთებენ, მიიღებენ ან დამტკიცებენ შეერთების შემდეგ. ნებისმიერი ამგვარი საწინააღმდეგო აზრის შესახებ უნდა ეცნობოს დეპოზიტარს.

მუხლი 45

(1) თუ სახელმწიფოს აქვს ორი ან მეტი ტერიტორიული ერთეული, რომლებშიც გამოყენებადია სხვადასხვა სამართლებრივი სისტემები მოცემულ კონვენციაში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით, მას ხელმოწერის, რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან შეერთების დროს შეუძლია განაცხადოს, რომ მოცემული კონვენცია გავრცელდება ყველა მის ტერიტორიულ ერთეულზე, ან მხოლოდ ერთ-ერთ ან რამდენიმე მათგანზე, და შეუძლია მოახდინოს ამ დეკლარაციის მთავარი განცხადების გაკეთებით ნებისმიერ დროს.

(2) ნებისმიერი ამგვარი განცხადების თაობაზე შეტყობინება უნდა გაუკეთდეს დეპოზიტარს და მასში გარკვევით უნდა იყოს მითითებული ტერიტორიული ერთეულები, რომელთა მიმართაც გამოიყენება მოცემული კონვენცია.

(3) თუ სახელმწიფო არ გააკეთებს არანაირ განცხადებას ამ მუხლის თანახმად, მოცემული კონვენცია გაგრძელდება მის ყველა ტერიტორიულ ერთეულზე.

მუხლი 46

(1) მოცემული კონვენცია ძალაში შევა თვის პირველ რიცხვში, სამი თვის გასვლის შემდეგ 43-ე მუხლში მოხსენიებული რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების შესახებ შესაძე დოკუმენტის შეტანიდან.

(2) ამის შემდეგ მოცემული კონვენცია ძალაში შევა –

ა) ყოველი სახელმწიფოსათვის, რომელიც შემდგომში მოახდენს მის რატიფიკაციას, მიიღებს ან დაამტკიცებს მას, ანდა შეუერთდება მას, თვის პირველ რიცხვში, სამი თვის გასვლის შემდეგ რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან შეერთების შესახებ მისი დოკუმენტის შეტანიდან;

ბ) ტერიტორიული ერთეულისთვის, რომელზეც მოცემული კონვენცია 45-ე მუხლის თანახმად გაგრძელდა, თვის პირველ რიცხვში, სამი თვის გასვლის შემდეგ ამ მუხლში მოხსენიებული შეტყობინებიდან.

მუხლი 47

(1) სახელმწიფოს, რომელიც მოცემული კონვენციის მხარეს წარმოადგენს, შეუძლია მოახდინოს მისი დენონსაცია დეპოზიტარისთვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების მეშვეობით.

(2) დენონსაცია ძალაში შედის თვის პირველ რიცხვში, თორმეტი თვის გასვლის შემდეგ დეპოზიტარის მიერ შეტყობინების მიღებიდან, როდესაც შეტყობინებაში განსაზღვრულია უფრო ხანგრძლივი პერიოდი დენონსაციის ძალაში შესასვლელად, დენონსაცია ძალაში შევა ამგვარი უფრო ხანგრძლივი პერიოდის გასვლის შემდეგ დეპოზიტარის მიერ შეტყობინების მიღებიდან.

მუხლი 48

დეპოზიტარი საერთაშორისო კერძო სამართლის ჰააგის კონფერენციის წევრ სახელმწიფოებს, სხვა სახელმწიფოებს, რომლებიც მენვიდმეტე სესიაში მონაწილეობდნენ და სახელმწიფოებს, რომლებიც მოცემულ კონვენციას 44-ე მუხლის მიხედვით შეუერთდნენ, შეატყობინებს იმ საკითხების თაობაზე, რომლებიც ქვემოთაა ჩამოთვლილი –

- ა) ხელმოწერები, რაციფიკაციები, მიღებები და დამტკიცებები მოხსენიებული 43-ე მუხლში;*
- ბ) მიერთებები და მიერთებათა წინააღმდეგ გამოთქმული აზრები, მოხსენიებული 44-ე მუხლში;*
- გ) თარიღი, როდესაც მოცემული კონვენციის ძალაში შედის თანახმად 46-ე მუხლისა;*
- დ) განცხადებები და დანიშვნები, მოხსენიებული 22-ე, 23-ე, 25-ე და 45-ე მუხლებში;*
- ე) შეთანხმებები, მოხსენიებული 39-ე მუხლში;*
- ფ) დენონსაციები, მოხსენიებული 47-ე მუხლში.*

რის დახადსტერებლადაც ქვემოთ ხელის მომწერებმა, ივენ რა საამისოდ სათანადოდ უფლებამოსილნი, ხელი მოაწერეს ამ კონვენციას.

შედგენილია პაგაში, 1993 წლის 29 მასის, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ორივე ტექსტი არის რა თანაბრად ავთენტიკური, ერთ ეგზემპლარად, რომელიც შენახულ იქნება ნიდერლანდების სამეფოს მოავრობის არქივებში, და რომლის დამოწმებული ასლიც დიპლომატიური არხებით დაეგზავნება თითოეულ სახელმწიფოს, რომლებიც საერთაშორისო კერძო სამართლის პაგის კონვენციის წევრები ივენ მისი შეხიადმეცე სესიის გამართვის თარიღისთვის და თითოეულ სხვა სახელმწიფოს, რომლებიც ამ სესიაში მონაწილეობდნენ.